პროლეტარეტაო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 36 (9504) | ხუთშაბათი, 12 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, ულმობლად ვებრძოლოთ დოყლაპიობას — მოწინავე.
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. განვაზოგადოთ და ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილება (მე-2 გვერდი).
შ. ჰოჰუა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთავარი ძალაა (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
გ. ჯაფარიძე — თუთის ხის ახალი ჯიში «ბრუზია» (მე-3 გვერდი).
საბჭოთა საქართველოში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, ულმობლად ვებრძოლოთ დოყლაპიობას

საბჭოთა ხალხი, რომელიც შეიარაღებულია ჩვენი ბრძენი მასწავლებლისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მისი ისტორიული სიტყვით პარტიის XIX ყრილობის დასკვნითს სხდომაზე და XIX პარტყრილობის გადაწყვეტილებებით, გმირულად იბრძვის ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სულ უფრო მეტ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს წინსვლა, ყოველი მისი გამარჯვება და წარმატება ახარებს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების ხალხებს. ჩვენი გამარჯვებანი აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ მასებს მათს ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის. რაც უფრო წინ მიიწევს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, რაც უფრო დიდია მისი წარმატებანი საბჭოთა მეურნეობის განვითარების საქმეში, მით უფრო ცოფდებიან ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრები, მით უფრო მეტად ცდილობენ ისინი ზიანი მიაყენონ საბჭოთა სახელმწიფოს, ძირი გამოუთხარონ მის ეკონომიკურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავიწყება იმისა, რომ ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1937 წელს ამბობდა: **„...სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგში გზავნიან უცხოეთის სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოები“...**

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა დივერსიული საქმიანობა ძირითადად მიმართულია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები საბჭოთა კავშირში დივერსიული მუშაობისათვის გზავნიან ტერორისტებს, ჯაშუშებს, პროვოკატორებს. როგორც ცნობილია, 1951 წლის 10 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა ისტორიაში უმაგალითო ბინძური კანონი, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის ასიგნებას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედი ჯაშუშებისა და დივერსანტების დასაფინანსებლად. თუ რა ფართო მასშტაბი მიიღო ამერიკისა და ინგლისის საადაზვერვო ორგანოების ძირგამომთხრელმა მუშაობამ სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, ამას ნათლად მოწმობს ბუდაპეშტში, სოფიასა და პრაღაში მოწყობილი სასამართლო პროცესები უნგრელი, ბულგარელი და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მტრების — რაიკის, ტრაიჩო კოსტოვის, სლანსკისა და მათი დამქაშების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო; ამას ნათლად მოწმობს ამას წინათ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ უცხოეთის სადაზვერვო ორგანოების სამსახურში მყოფი მავნებელი ექიმების ჯგუფის მხილება.

საბჭოთა კავშირში ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებული არიან. საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ცხადია, ასეთ პირობებში იმპერიალისტებს ჩვენს ქვეყანაში არა აქვთ კლასობრივი ბაზა საბჭოთა კავშირის შიგნით მტრული საქმიანობის საწარმოებლად. მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ არიან ბურჟუაზიული მორალისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებათა მატარებელი ცოცხალი ადამიანები, პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილი ელემენტები, დოყლაპიები, მოლაყბეები, და რომ სწორედ ესენი არიან მტრის ხელშემწყობნი.

პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებამ, დოყლაპიობამ, მუშაობის მანკიერმა სტილმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა უხეშ პოლიტიკურ ჩავარდნამდე მიიყვანა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ ფართოდ გააჩაღა ბრძოლა საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ, ამხილა და სასტიკად დასაჯა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლები და გამნიავებლები, ანტისაბჭოთა მოლაყბეები, ცილისმწამებლები, დოყლაპიები. დიდი მუშაობაა გაწეული ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის ლენინურ — სტალინური სტილის დანერგვისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა ამხ. ა. ი. მგელაძემ თავის გამოსვლებში მთელი ძალით დააყენა საკითხი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების შესახებ, დოყლაპიობის, პოლიტიკური სიბეცის, საქმისადმი არაპარტიული, არასახელმწიფოებრივი მიდგომის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები. მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ დიდი მუშაობის გაწევა მოგვიხდება.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არღვევს პარტიულ დისციპლინას, იჩენს უდარდელობას მინდობილი საქმისადმი, პოლიტიკურ სიბეცეს, დოყლაპიობას. მაგალითად, პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებით, უდარდელობით, დოყლაპიობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის ყოფილი მდივანი ამხ. ი. ლუკასაბოვი და რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები არ დაინტერესდნენ, თუ რას წარმოადგენდა პოლიტიკურად ვინმე ა. ისპირიანი, როცა მას პარტიის წევრობის კანდიდატად იღებდნენ. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ ისპირიანმა პარტიაში შესვლისას დამალა ის ფაქტი, რომ მისი მამა, როგორც ხალხის მტერი, დაპატიმრებული იყო... პარტიაში მიღების საკითხისადმი ასეთი არაპარტიული მიდგომა დასაგმობია მთელი სისასტიკით. სამწუხაროდ, დოყლაპიობის, უდარდელობის გამოვლინების შემთხვევებს ადგილი აქვს ზოგიერთ სხვა რაიონშიც. პოლიტიკურად ბრმა, დოყლაპია აღმოჩნდა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშათა მომმართველების სამმართველოს ყოფილი უფროსი შ. სიხარულიძე. იგი ნდობას უცხადებდა კომბინატორებს, გახრწნილ, საეჭვო პირებს, რომლებმაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენეს.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აღზარდონ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ — სტალინის დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, მაღალი რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით, დოყლაპიობის, უდარდელობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში ნათქვამია, რომ პარტიის წევრი მოვალეა **„იცავდეს პარტიულ და სახელმწიფო საიდუმლოებას, იჩენდეს პოლიტიკურ სიფხიზლეს, ახსოვდეს, რომ კომუნისტების სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში“.**

საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის ამაღლებას. მხოლოდ იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანით შეიძლება ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება. პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა უფრო მეტად აამაღლონ იდეოლოგიური მუშობა, აღზარდონ მასები მარქსენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე იდეებით, ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ წარმატებებით დატკბობის, პარადულობის ყოველგვარ გამოვლინებას, ამხილონ და დასაჯონ დოყლაპიები, პოლიტიკურად ბრმა და არასაიმედო ელემენტები, უფრო ფართოდ გააჩაღონ თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა.

ბოლო მოვუღოთ დოყლაპიობას ჩვენს რიგებში. გავაძლიეროთ კომუნისტური სიფხიზლე ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში!

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი ჩეხურ ენაზე

პრაღა. (საკდესი). გამომცემლობა „თავისუფლებამ“ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-10 ტომი 120 ათასი ცალი ტირაჟით.

საბჭოთა კავშირში

ახალ სპეციალობათა ინჟინრები

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყო ახალ სპეციალობათა მაღალკვალიფიციური მუშაკების მომზადება. საქარხნო თბოძალოვანი მეურნეობის, ბრძმედისა და ფოლადსადნობი წარმოების ელექტრომოწყობილობის ინჟინრებს გამოუშვებს სამრეწველო თბოენერგეტიკის ფაკულტეტი, რომელიც შეიქმნა ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკულ ინსტიტუტში.

მადნეულის ძიების ტექნიკის ინჟინრებს სახალხო მეურნეობას მისცემს ს. ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტის სამთობურღვის ახალი ფაკულტეტი. მოსკოვის ქალაქის აღმასკომის სამშენებლო ინსტიტუტის ახალი ფაკულტეტი მოამზადებს საშენ ნაკეთობათა და დეტალების ქარხნების დაპროექტების, აგებისა და ექსპლოატაციის სპეციალისტებს, ხოლო ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი — საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების ინჟინერ-მექანიკოსებს. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲔᲕᲚᲐᲨᲔᲕᲝ. (პენზის ოლქი), 11 თებერვალი. (საკდესი). მეხუთე ხუთწლედის დაწყებიდან ათასზე მეტი ასაწყობფარიანი სახლი გააკეთა ევლაშევოს სახლმშენებელმა. კომბინატმა. კომბინატის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გაეგზავნა დიად მშენებლობებს. ბევრი სტანდარტული სახლი მიიღეს დონბასისა და ყარაგანდის მაღაროელებმა.

წელს კომბინატმა გაადიდა ერთბინიანი სახლების წარმოება. თვითეულ სახლს აქვს სამი ოთახი 39 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, სამზარეულო, წინა ოთახი და საკუჭნაო. სახლები გარედან მოპირკეთებულია ასბესტცემენტის, ხოლო შიგნიდან ბოჭკოვანი ხის ფილებით, რომლებიც დაფარულია სპეციალური მინანქრით. წელიწადში აშენდება 154 ასეთი სახლი.

კუიბიშევის ჰესის მშენებლებს ამას წინათ გაეგზავნათ ოთხი ორსართულიანი ასაწყობი სახლი, თვითეული სახლი შედგება რვა სამ ოთახიანი ბინისაგან.

მიმდინარე წელს კომბინატის კოლექტივი გაკილებით მეტ ასაწყობ სახლს გამოუშვებს, ვიდრე შარშან.

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲝᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲫᲐᲣᲯᲘᲙᲐᲣ, 10 თებერვალი. (საკდესი). რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოუშვა ა. პუშკინის „ევგენი ონეგინი“, რომელიც თარგმნა ადგილობრივმა პოეტმა გ. კაიტუკოვმა. დიდი ტირაჟით გამოიცა აგრეთვე „კაპიტანის ქალიშვილი“, „ბელკინის მოთხრობები“ და ლექსებისა და პოემების ორტომეული.



მოსკოვის შიდასახეხი ჩარხების ქარხანამ დაამონტაჟა ავტომატური საამქრო, რომელიც დაამზადებს დგუშის თითებს „სტზ-ნატი“ და „ხტზ“ ტრაქტორებისთვის. საამქრო შედგება ჩარხების ორი ხაზისაგან. თვითეულ ხაზში ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული 15 აგრეგატია. საამქროს მომსახურებას უწევს ერთი ოპერატორი და 15 ამწყობი. სურათზე: ავტომატური ხაზის ერთ-ერთი უბანი. წინა პლანზე ზეინკალი დ. ფ. კუდეიაროვი (მარცხნივ) და ამწყობი ი. ე. ვოლკოვი ამოწმებენ აგრეგატის მუშაობას.

ფოტო ა. სტუფინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

უკრაინა — ᲓᲘᲐᲓ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘ. კიევის ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცას“ კოლექტივმა ვადაზე ორი კვირით ადრე დაამთავრა ორი კარჭაპის სექციების დამზადება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის. წლის დამდეგიდან ამუ-დარიის დიად მშენებლობას უკვე გაეგზავნა არათვითმავალი გემების სექციებით დატვირთული რკინიგზის მრავალი ვაგონი.

ამჟამად საწარმოში თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის ჩქარი ტემპით ამზადებენ მცურავ ელექტროსადგურებს, რომლებიც ენერგიას მიაწვდიან მიწისმწოვ მანქანებს. შენდება აგრეთვე საბუქსირო გემები დიადი მშენებლობის ფლოტისათვის.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝ. ჟდანოვისა და მაკეევკის მილის ქარხნებმა ვადამდე შეასრულეს „კუიბიშევჰიდრომშენისა“ და „სტალინგრადჰიდრომშენის“ დაკვეთები, რომლებიც დაგიგმილი იყო პირველი კვარტალისათვის. ვოლგის დიად მშენებლობებს საწარმოებმა გაუგზავნეს ასობით ტონა მილი. დიდი დიამეტრის ბევრი მილი დაამზადა მშენებლობათათვის აგრეთვე ხარკიზსკის ქარხანამ.

სტალინურ ახალშენებათა პირველი კვარტალის დავალება ვადამდე შეასრულა აგრეთვე სლავიანსკის სამშენებლო მანქანათა ქარხნის კოლექტივმა. მან „კუიბიშევჰიდრომშენს“ გაუგზავნა ოცდაათი ვიბრაციული ხორთუმი — სპეციალური მოწყობილობა ბეტონის მისაწოდებლად.

დონბასის მრეწველობა თვიდან თვემდე ადიდებს კომუნიზმის მშენებლობათათვის პროდუქციის გამოშვებას. მიმდინარე წელს ოლქის ქარხნებმა უკვე გაუგზავნეს მათ რამდენიმე ათასი ტონა ნაგლინი, მნიშვნელოვანი რაოდენობით მიწისმთხრელი მანქანების სათადარიგო ნაწილები, დიდძალი ცემენტი, იზოლატორები და სხვა ნაწარმი.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. მოლოტოვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ „სტალინგრადჰიდრომშენს“ გაუგზავნა მძლავრი მრგვალსახეხი ჩარხი. ქარხნის სპეციალისტთა კონსტრუქციის მაღალი წარმადობის აგრეგატი სამართავად მარტივი, საექსპლოატაციოდ მოხერხებულია და უზრუნველყოფს დასამუშავებელი დეტალების დიდ სიზუსტეს. ეს მეორე დაკვეთაა, რომელიც მიმდინარე წელს ჩარხმშენებლებმა ვადამდე შეასრულეს ვოლგის ახალმშენებლობისათვის. კოლექტივმა ვადაზე ექვსი კვირით ადრე გამოუშვა ჩარხი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისათვის.

ამჟამად ქარხანაში დაიწყო ჩარხების ახალი პარტიის წარმოება კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობისათვის.

10 თებერვალი. (საკდესი).

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

4-7 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სესია, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ი. ბ. სტალინის სიტყვას პარტიის XIX ყრილობაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერმა მუშაკებმა და მასწავლებლებმა, აგრეთვე იუსტიციის, სასამართლოს და პროკურატურის მუშაკებმა.

სესია გახსნა სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ბ. ე. ორლოვსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე უდიდესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების ახალ უმაღლეს ეტაპს მოასწავებს. ამხ. ორლოვსკი დაწვრილებით შეეხო იურიდიული მეცნიერების სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს პრესაში და პარტიის XIX ყრილობის ტრიბუნიდან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიული მეცნიერების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის დანაშაულის დიდი ნაწილი ეკისრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტს.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს შემდეგი მოხსენებანი: გ. ი. ფედკინისა — „საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის როლი ი. ბ. სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ეკონომიკური კანონის გამოყენებაში“, ა. ვ. კარასისა — „სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების სამართლის საკითხები ი. ბ. სტალინის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ი. ვ. პავლოვისა — „საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე საკოლმეურნეო საკუთრების თანდათანობით ამაღლების უფლებრივი ფორმები“, ა. ე. პაშერსტნიკისა — „საბჭოთა შრომის სამართლის საკითხები კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობების შესახებ ი. ბ. სტალინის მითითებათა მიხედვით“, ე. ა. კოროვინისა — „საერთაშორისო სამართალი მშვიდობის სამსახურში“.

სესიის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის სიტყვა. იგი დაწვრილებით შეეხო იმ საკითხს, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და მის სიტყვას პარტიის XIX ყრილობაზე მეცნიერების და, კერძოდ, სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის.

ამხ. ვიშინსკიმ გააკეთა სამართლის მეცნიერების მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი, მკვეთრად გააკრიტიკა სამართლის სხვადასხვა დარგის შეცდომები და ნაკლოვანებანი და აღნიშნა პირველი რიგის ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა იურისტებს უსახავს ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

მენავთობეთა პატრიოტული საქმეები

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივში უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ბელადის თანხმობამ — კენჭი იყაროს ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. ქარხნის თვითეული მუშაკის გადაწყვეტილებაა გახდეს ამ დიდი პატივისა და ნდობის ღირსი, პატრიოტული საქმეებით უპასუხოს ამხანაგ სტალინის თანხმობას, ენერგია არ დაიშუროს მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მისცეს სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნავთობპროდუქტები.

სტახანოვურ ვახტზე მდგომმა ქარხნის კოლექტივმა ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნა ეს დღეები. 31 იანვარს დილით კოლექტივმა შეასრულა იანვრის დავალება.

№ 2 საამქროს დანადგარის უფროსმა მ. ღლონტმა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე, რომელიც დეპუტატობის კანდიდატის ამხანაგ ი. ბ. სტალინის რეგისტრაციას მიეძღვნა, დანადგარის კოლექტივის სახელით ვალდებულება იკისრა ყოველთვიური დავალება 110 პროცენტით გაანაღდონ. ამ ვალდებულების შესასრულებლად თავდადებულად შრომობდნენ დანადგარის ოპერატორები და. თანაშემწეები, რის შედეგადაც იანვრის გეგმა 140 პროცენტით შეასრულეს. კარგად იმუშავა იანვარში მთელი საამქროს კოლექტივმა. გასული თვის დავალება განაღდებულია 124 პროცენტით. სტახანოვურ ვახტზე დგანან და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს დეპუტატობის კანდიდატი, ნავთობგადამუშავების ცნობილი ოსტატი ა. ძნელაძე, ოპერატორი მ. კრასნოლუბოვი, მისი თანაშემწე დ. ნოვაკოვა, კოქსის მწმენდავი ვ. გრიგოლავა და სხვები.

ᲐᲒᲘᲢᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში ხობის სარაიონო კულტურის სახლმა შექმნა აგიტმხატვრული ბრიგადა. მის რეპერტუარში შედის არჩევნებისადმი მიძღვნილი მხატვრული მონტაჟი, სიმღერები და ლექსები დიდ სტალინზე და სამშობლოზე.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ საღამო-კონცერტები გამართა ახალი ხიბულის, ხეთის, ხამისკურის, ქარიატისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ბრიგადის წევრებმა აგრეთვე ადგილებზე მეთოდური დახმარება გაუწიეს საკლუბო დაწესებულებებსა და მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲐ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). კარგად დაიწყო ახალი სამეურნეო წელი სტალინირის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივმა. კომბინატმა იანვარში გეგმის გადამეტებით ათობით ათასი მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას, ამასთან ყველა საამქრომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

კომბინატის კოლექტივი ახალ შრომით საჩუქარს უმზადებს ქვეყანას ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის — 22 თებერვლისათვის. დამამზადებელმა საამქრომ ვალდებულება აიღო არჩევნების დღისათვის გადაჭარბებით შეასრულოს თებერვლის გეგმა. ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლაში მაგალითს უჩვენებს სტალინირის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სტახანოველი დურგალი ივანე ქოქოევი. მან იანვრის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, ახლა ყოველდღიურ დავალებს 180-200 პროცენტით ანაღდებს.

მოწინავეთა რიგებშია სახერხი საამქრო, რომელმაც იანვარში გეგმის გადამეტებით ათობით კუბმეტრი მერქანი დახერხა. მაღალნაყოფიერი მუშაობით იანვარში კვლავ ისახელა თავი საამქროს მოწინავე მუშამ დარია თიბილოვამ, მან დავალება 134 პროცენტით შეასრულა. როგორც წარმოების მოწინავე ადამიანი, დარია თიბილოვა დასახელებულია მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო აძლიერებენ კომბინატის მოწინავე ადამიანები მუშაობის ტემპს.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). კულტურის სახლში შედგა ახალგაზრდა ამომრჩეველთა რაიონული შეკრება. შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება თემაზე — „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიული სისტემაა მთელ მსოფლიოში“.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ახალგაზრდა ამომრჩევლები — მოლოტოვის სახელობის შახტის სტახანოველი მთხრელი გ. მიქაბერიძე, ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი ა. ქარქაშაძე, სამთო-სამრეწველო სკოლის მოსწავლე ბ. ბოჭორიშვილი, სტალინის სახელობის შახტის ელმავლის მემანქანის თანაშემწე ბ. შუბლაძე და სხვები. მათ ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის.

შეკრებას 300-ზე მეტი ახალგაზრდა ამომრჩეველი დაესწრო.

პარტიული ცხოვრება

განვაზოგადოთ და ფართოდ გავავრცელოთ მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის ყურადღება ამჟამად იქითკენ არის მიმართული, რომ ყველა კომუნისტს და კომკავშირელს, ყველა მშრომელს შეასწავლოს პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაწარმოები. პარტიული განათლების ქსელის მუშაობა, რაიონის თავისებურებათა გამო, დაკავშირებულია ერთგვარ სიძნელეებთან. კიროვის რაიონში თავმოყრილია მრავალი წვრილი დაწესებულება, არტელები და პატარა-პატარა სახელოსნოები. ამის გამო წრეებისა და პოლიტსკოლების დიდ უმეტესობაში გაერთიანებული არიან 8-10 და ზოგჯერ უფრო მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ან პარტიული ჯგუფის წევრები. ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან ძნელია თავიდან აიშორო წრეებში გაერთიანებულ მსმენელთა მომზადების დონის სხვადასხვაობა. ეს გარემოება მოითხოვს პროპაგანდისტთა დიდ დახელოვნებას, ბეჯით ორგანიზაციულ მუშაობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას წრეების შეუფერხებელი მუშაობა და სწავლების მაღალი იდეური დონე.

წელს მუშაობა გააუმჯობესა რაიკომთან არსებულმა პროპაგანდისტთა სემინარმა, რომელსაც ამხ. ვ. ლევიჩი ხელმძღვანელობს. სემინარის მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა. იგი დიდად უწყობს ხელს პროპაგანდისტთა თეორიული მომზადების დონის ამაღლებას და მეთოდურ დახელოვნებას. სემინარის მეცადინეობაზე პროპაგანდისტები იღებენ ყველა საჭირო მასალას და სათანადო მეთოდურ რჩევას მეცადინეობის წარმატებით მოწყობისათვის.

კიროვის რაიონში მრავალ პროპაგანდისტს მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. ამ გამოცდილების გაზიარება დანარჩენი პროპაგანდისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა პარტიის კიროვის რაიკომმა, როცა ამ დღეებში პროპაგანდისტთა რაიონული თათბირი მოიწვია. თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ პროპაგანდისტები ა. სოგომონოვი, ტ. ნონიკაშვილი, გ. სუკალსკაია, ნ. შავგულიძე, ლ. გასპარიანი, ი. ემირიანი, დ. დოხნერი, ა. ელიბეკიანი და სხვები. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ემზადებიან მეცადინეობისათვის, როგორ აწყობენ მეცადინეობას და რა შედეგი აქვს მათს მუშაობას, აღნიშნეს აგრეთვე მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზები და რაიკომს მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენეს.

თათბირის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა პროპაგანდისტების ი. ემირიანის, ა. ელიბეკიანის და ნ. შავგულიძის მუშაობის გამოცდილებამ.

— იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მეცადინეობის მაღალი იდეური დონე, — განაცხადა პროპაგანდისტმა ი. ემირიანმა, — საჭიროა თვით ჩვენ, პროპაგანდისტებმა, გულმოდგინედ და დაუღალავად ვიმუშაოთ ჩვენს თავზე, ღრმად შევისწავლოთ და წინასწარ გავიაზროთ, თუ როგორ გავაცნოთ ყოველი თემა თვითეულ მსმენელს.

როცა მეცადინეობისათვის ვემზადები, უწინარეს ყოვლისა თემით გათვალისწინებულ მასალებს ვსწავლობ. შემდეგ კი მოცემულ თემაზე ვადგენ გეგმა-კონსპექტს, ამასთან ისე ვანაწილებ დროს, რომ წინასწარ ვიცი, რამდენი დრო მოვანდომო თემის ახსნას, რამდენი — მსმენელებთან გაშლილ საუბარს და რამდენი საშინაო დავალებათა მიცემას. მეცადინეობას ვიწყებ გაშლილი საუბრით, რომ მსმენელებს გავახსენო წინა მეცადინეობაზე შესწავლილი საკითხები და დავუკავშირო ისინი ახალ თემას, შემდეგ ვიწყებ ახალი თემის ახსნას, რასაც აგრეთვე საუბრით ვამთავრებ, ამასთან ეცდილობ გაშლილ საუბარში ყველა მსმენელს მივაღებინო მონაწილეობა და ამით განვამტკიცო ახსნილი მასალის შეთვისება. ამის შემდეგ მსმენელებს ვაძლევ საშინაო დავალებას და ვუჩვენებ, რა ლიტერატურა გამოიყენონ თემის შესასწავლად. საუბრის დროს ფართოდ ვიყენებ თვალსაჩინოებას — ალბომებს, რუკებს, დიაგრამებს, საერთაშორისო საკითხებზე გაზეთში დაბეჭდილ კარიკატურებს, აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას. ყოველ მსმენელთან ინდივიდუალურად ვმუშაობ. თვითეული მათგანის განათლების დონის გათვალისწინებით ვურჩევ შესაფერ დამხმარე ლიტერატურას, ვაძლევ დარიგებას, როგორ მოაწყონ უკვე ახსნილი თემის საფუძვლიანად შესწავლა, ვეხმარები მსმენელებს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების გამომუშავებაში. თემის შესწავლის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიმყავს მარქს — ენგელს — ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, აგრეთვე რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. ასეთი მუშაობით იმას მივაღწიე, რომ მსმენელები კარგად ითვისებენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს, ადგენენ კონსპექტებს და მეცადინეობის დროს იჩენენ აქტივობას.

პროპაგანდისტებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ასეთი თათბირები შემდეგშიც მოეწყოს. რაიკომმა უნდა გაითვალისწინოს ეს მოთხოვნა და იზრუნოს პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და ფართოდ გავრცელებისათვის.

მ. არაშიძე.

სურათზე: თელავის საგრენაჟო ქარხნის აგიტატორი მ. კირვალიძე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთ ჯგუფს აცნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე შემდგარი თათბირის მასალებს.

ფოტო გ. კვირკველიასი.

კეთილმოწყობის საკითხი საქალაქო კომიგეგმის პლენუმზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). ბევრი რამ გაკეთდა ჭიათურის კეთილმოსაწყობად. მიუხედავად ამისა, ქალაქის კეთილმოწყობისათვის ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული. საქალაქო საბჭო, მარგანეცის ტრესტი და ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო სამმართველო ყველა შესაძლებლობას არ იყენებენ ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და გალამაზებისათვის. ამიტომ კარგად მოიქცა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი, რომელმაც მორიგ პლენუმზე ქალაქის კეთილმოწყობის საკითხი განიხილა.

მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ლაბაძემ. კამათში გამოვიდნენ ამხ. გ. ყიფშიძე, გ. შანიძე, ა. გამყრელიძე, ლ. გოშხეთელიანი, შ. შეყლაშვილი, ა. კობახიძე, ნ. მუმლაძე, მ. გეგია, მ. მოდებაძე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მარგანეცის ქალაქის კეთილმოწყობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ქალაქის საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელობას და პირველ რიგში მის ყოფილ თავმჯდომარეს მ. მოდებაძეს, კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგეს ა. თხელიძეს და მთავარ ინჟინერს ი. ყიფშიძეს 1952 წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობისათვის თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ. მშენებელი ორგანიზაციები ძალიან ნელა და დაბალხარისხოვნად აშენებენ. წლობით გრძელდება სამგზავრო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქს სტალინის სახელობის მაღაროსთან დაუკავშირებს. ცუდად აშენდა საყრდენი კედელი ლენინის ქუჩაზე. ქალაქში ბინათმშენებლობა უგეგმოდ მიმდინარეობს.

საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომლის განხორციელებისათვის აქედანვე უნდა გაიშალოს მუშაობა.

კურსები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). მუშაობა დაიწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამთვიანმა კურსებმა, რომელსაც აქვს საკოლმეურნეო და საწარმოო ჯგუფები. თვითეული ჯგუფისათვის ნავარაუდევია 92 აკადემიური საათი.

პირველ მეცადინეობებზე მოსმენილ იქნა ლექციები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, ყრილობაზე ამხანაგ სტალინის სიტყვისა და მისი კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესახებ. კურსების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ლექციები და მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე.

კურსებზე ლექციებს კითხულობენ პარტიის ლაგოდეხის რაიონული კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები.

აღგილობრივი გაზეთების ფურცლებიდან

აღექსანდრია-ტყიბული

ტყიბულის რაიონულმა გაზეთმა **„ტყიბულის მაღაროელმა“** გამოაქვეყნა ალექსანდრიის რაიონული გაზეთის **„ბილშოვიცკა პრავდას“** რედაქციის მიერ მომზადებული სპეციალური გვერდი, რომელშიც მოთხრობილია უკრაინელი მეგობრების შრომითი საქმიანობის შესახებ.

„ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წლებში, — წერს ალექსანდრიაუგოლის ტრესტის მმართველი გ. ალიოშინი, — აქ გაიზარდა სახალხო მეურნეობის ახალი დარგი — მურა ნახშირის წარმოება. ახალმა შახტებმა, ელექტროსადგურებმა, ბრიკეტის, აგურისა და „კრასნი ლიტეიშჩიკის“ ქარხნებმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა ძირფესვიანად შეცვალეს ქალაქის სახე.

მრეწველობის განვითარების ბაზაზე 45-ჯერ გადიდდა მუშათა რიცხვი, ხოლო ინჟინერ-ტექნიკოსთა, მასწავლებელთა და ექიმების რიცხვი 80-ჯერ გაიზარდა“.

შემდეგ ამხანაგი გ. ალიოშინი წერს, თუ როგორ იბრძვიან პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა აღფრთოვანებული მეშახტეები ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

გაზეთის ამავე გვერდზე მოთავსებულია კორესპონდენცია ნოვატორ მეშახტე იაკობ ერემენკოს საქმიანობის შესახებ და ფოტოსურათი სტახანოველი ამწმენდის ივანე შჩერბაჩენკოსი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტის მნგრეველთან რ. მუშკუდიანთან.

„ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციამ გაზეთ „ბილშოვიცკა პრავდას“ დაუმზადა საპასუხო გვერდი ტყიბულელ მეშახტეთა შრომითი ცხოვრების შესახებ.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ ეს ინიციატივა მოსაწონია.

„ქვანახშირით დატვირთული ეშელონები მიდიან რუსთავში“

რუსთავის საქალაქო გაზეთმა **„მეტალურგიისათვის“** დაბეჭდა მასალები, რომლებითაც ახალგაზრდა ქალაქის მშრომელები ეცნობიან ტყიბულელი მეშახტეების საქმიანობას ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული ცენტრების, განსაკუთრებით რუსთავის უზრუნველყოფისათვის უხვი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირით.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერი მუშაკები ვ. გაბიძაშვილი და ნ. რუხაძე თავიანთ წერილში გაზეთის მკითხველებს მოუთხრობენ იმის შესახებ, თუ რა გზით მიაღწია სტალინის სახელობის შახტის ქვანახშირის ნგრევის სახელოვანმა ოსტატმა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ი. ორჯონიკიძემ წლიური გეგმის გადამეტებით 3.500 ტონამდე ქვანახშირის ამოღებას. ტყიბულის ქვანახშირის გასაღების კანტორის მთავარი ინჟინრის დ. გიორგაძის წერილში გადმოცემულია ტყიბულის მეშახტეთა ბრძოლა ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საინტერესო ფაქტებია მოყვანილი გაზეთის კორესპონდენტის დ. საბელაშვილის წერილში — „ტყიბული ახალ ხუთწლედში“. წერილში ნათქვამია:

„მეხუთე სტალინურ ხუთწლედში 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ტყიბულის შახტებში ქვანახშირის ამოღება 88,3 პროცენტით უნდა გაიზარდოს... ამასთან ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის ახალი მშენებლობანი... ტყიბულში აშენდება კულტურის სახლი, საზაფხულო კინოთეატრი, პიონერთა სახლი, მაცივარი, ფიზკულტურული სტადიონი... ქალაქში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საბინაო და კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა...“

ხვანჭკარელ მევენახეთა ვალდებულებანი

ამბროლაურის რაიონის მოწინავე მევენახეთა და მევენახეობის დარგის სპეციალისტთა რაიონული შეკრების მონაწილეებმა მიმდინარე წელს ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვიეს ცაგერის რაიონის მევენახე კოლმეურნეები. მათ მოწოდებით მიმართეს თავიანთი რაიონის მევენახეებს, რათა ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძოლონ ყურძნის უხვი მოსავლისათვის.

მოწინავე მევენახეთა ამ მიმართვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რაიონის კოლმეურნეთა შორის. სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ეს საკითხი სპეციალურად განიხილა. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ მიმდინარე წელს 48 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 60 ცენტნერი ყურძენი.

ამბროლაურის რაიონულმა გაზეთმა **„კომუნარმა“** დაბეჭდა მასალები, რომლებშიც მოთხრობილია იმ ერთსულოვანი მოწონების შესახებ, რითაც რაიონის კოლმეურნეები შეხვდნენ მოწინავე მევენახეთა შეკრების მიმართვას.

„ხვანჭკარელი კოლმეურნეები, — წერს ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ლომთაძე, — წარმატებით შრომობენ მიმდინარე წლის მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად. მთელი დატვირთვით იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს...

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ახლად გასაშენებელი ვენახებისათვის ნიადაგის მომზადება. ხვანჭკარელი კოლმეურნეები იბრძოლებენ იმისათვის, რომ პირნათლად გაანალდონ ნაკისრი ვალდებულება — მიიღონ ვენახის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძენი“.

გაზეთში დაბეჭდილ სხვა მასალებში მოთხრობილია, სოფლების ბოსტანას, წესის და ჭყვიშის კოლმეურნეთა ვალდებულებების შესახებ ყურძნის მოსავლიანობის გაზრდის საქმეში.

გაზეთმა „კომუნარმა“ თავის ფურცლებზე უფრო ხშირად უნდა ბეჭდოს მევენახეთა შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალები, სისტემატურად გააშუქოს მოწინავე მევენახეთა გამოცდილება.

საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობის მთავარი ძალაა

სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

იმ დღისით, რა დღესაც სოფელ დირბის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრება უნდა ჩატარებულიყო, საგანგებოდ მოერთოთ კოლმეურნეობის ახლად აშენებული კლუბი. კოლმეურნეები კარგახნით ადრე ემზადებოდნენ ამ დღისთვის. მათ უნდა მოესმინათ მოხსენება 1952 სამეურნეო წლის შედეგებზე.

ქარელის რაიონის სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. ბერეგვაძე) გამსხვილების შემდეგ მნიშვნელოვნად დაწინაურდა. კოლმეურნეობას 2.000-ზე მეტი ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი აქვს. აქედან მარტო შემოდგომის ხორბალი უთესია 1.500 ჰექტარზე. შარშან, 1950 წელთან შედარებით, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 5,4 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღეს. ასევე გადიდდა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ყურძნისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა. 1950 წელთან შედარებით ფულადი შემოსავალი გადიდდა 475.809 მანეთით, შრომადღის ხვედრი კი 5 კილოგრამით გაიზარდა.

საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნული იყო დღის 2 საათისათვის. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეკრებილთ აცნობა, რომ კრებას ესწრებოდა რვაასზე მეტი კაცი, საპატიო მიზეზით კრებას 73 კოლმეურნე არ ესწრებოდა. — ამრიგად, — თქვა თავმჯდომარემ, — კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

წარმატებათა წელიწადი

— 1952 წელს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების, მექანიზაციის ფართოდ გამოყენების, აგროწესების ზუსტად დაცვისა და შრომის სწორად მოწყობის შედეგად ჩვენმა კოლმეურნეობამ წინა წლებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

საანგარიშო ხნის განმავლობაში ავაგეთ საკოლმეურნეო კლუბი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 800-მდე კაცს იტევს. ავაშენეთ საწყობები, მექანმეობის ფერმა, გამოვიყვანეთ სოფლებში რადიო ხაზები და სხვ. მთლიანად შესრულებულია ყველა სახის სახელმწიფო ვალდებულებანი. გამოყოფილია კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებული სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდები. შრომადღეზე ნაწილდება 5,3 კილოგრამი მარცვლეული, ფული და სხვ. ლიკვიდირებულია დებიტორული დავალიანება.

— მაგრამ, — განაგრძობს თავმჯდომარე, — მიღწევებთან ერთად გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული მთელი არსებული შესაძლებლობანი. შარშან მუშაობაში გვქონდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა რიგითობა, ყურადღებას ვაქცევდით მხოლოდ ცალკეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება საკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ გვიწევს. მისი წარმომადგენლები მარტო კანტორაში მოდიან ცხობების მისაღებად.

საერთოდ კოლმეურნეობის გამგეობა დღემდე ვენახს სიყვარულით არ ეპყრობოდა. ასევე მივიწყებულია მეხილეობაც. კოლმეურნეობის გამგეობისა და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის მუშაკების დაუდევრობის შედეგად 5 ჰექტარი ხეხილის ბაღი გაშენდა ისეთ ადგილას, სადაც წყალი არ უდგება. მოუვლელობით ეს ბაღი სანახევროდ განადგურებულია, ჰექტარზე მხოლოდ 7 ცენტნერი ხილი მივიღეთ.

მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე რუისის მტს-ის კოლექტივი. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა ე. ბერიძემ, ა. გულიაშვილმა და გ. ხათაშვილმა შარშან 3 ჰექტარი ხეხარისხოდ მოხნეს. კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა მზრალად ხვნის 1952 წლის გეგმა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მტს-ის დირექტორმა ამხ. ტიტვინინძემ ტრაქტორი სხვაგან გადაიყვანა სამუშაოდ, როცა ჩვენს კოლმეურნეობაში ხვნის გეგმა შესრულებული არ იყო.

კარგი მდგომარეობა არ არის მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულების მხრივაც. კოლმეურნეობა წლების განმავლობაში ვერ ასრულებს წველადობის გეგმას. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჯიშიანი ძროხების შესაძენად. ძროხების მეტი წილი გადაბერებულია და ნაკლებ პროდუქციას იძლევა. ნაკლები ყურადღება ექცევა მეფრინველეობის საქმესაც.

მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ტეტუნაშვილის მოხსენება, რის შემდეგაც გაიმართა კამათი.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

კოლმეურნე ტ. გულიაშვილი (მეთორმეტე ბრიგადის წევრი) ლაპარაკობს: მოხუცი ვარ, მაგრამ მუშაობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ბედნიერი ცხოვრება გვაქვს, ბედნიერი. დიდმა სტალინმა გაგვითენა ეს ნათელი დღე. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ უფრო უკეთესად მოვაწყოთ საქმე, მეტი მოსავალი მოვიყვანოთ.

ჩვენი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ გამგეობა მთელი მონდომებით ვერ მუშაობს. ჩვენს სოფელში 80 პროცენტი ძველ ვაზს ჰიბრიდს უჭირავს, რომელიც არ ვარგა. კარგი იქნება ყურადღება მიექცეს ნამყენი ვაზის გაშენებას. გამგეობამ ეს უნდა გაითვალისწინოს შემდეგში.

ა. ბერიძემ (კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციის მდივანი) განაცხადა: ჩვენი კოლმეურნეობა გამსხვილების შემდეგ ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა რაიონში. გასულ წელს მოსავლიანობის გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, კოლმეურნეობის გამგეობა და პარტორგანიზაცია კოლმეურნეობაში არსებულ ყველა შესაძლებლობას რომ იყენებდნენ. მოუწესრიგებელია შრომა. 12 ბრიგადირიდან არც ერთმა არ იცის კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების უწყისებში დარიცხვა. მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე არც კოლმეურნეობას უმსჯელნია და არც რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებს. ნაკლები ყურადღება ექცევა თუთის ნარგავების მოვლა-პატრონობას. ნარგავების ნაწილი განადგურებულია. ერთი ჰექტარი ნამყენი ვაზი ყოფილმა ბრიგადირმა ა. მურაჩაშვილმა დღეუბამდე მიიყვანა. აღმოუფხვრელია ისეთი მავნე პრაქტიკა, როგორიც არის მარცვლეულით პირუტყვის შესყიდვა.

კოლმეურნეობაში ხშირია კადრების შეცვლა. მაგალითად, მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში სამი წლის მანძილზე 6 გამგე შეიცვალა. მევენახეობის ბრიგადირად დააწინაურეს გ. გეგიაშვილი, რომელმაც მუშაობა ჩაშალა. შემდეგ იგი შეცვლილ იქნა ა. მურაჩაშვილით, მაგრამ ვერც იგი მუშაობს სათანადოდ.

სარევიზიო კომისიას ერთხელაც არ უფიქრია მოეწყო საფუძვლიანი რევიზია საწყობებში, ფერმებში, სალაროში და სხვ. პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს, არა ჩანს მისი ავანგარდული როლი კოლმეურნეობაში. ვერ მივაღწიეთ იმასაც, რომ კოლმეურნეობაში თვითეული კომუნისტი სანიმუშოდ მუშაობდეს. მომავალში პარტიული ორგანიზაციის მუშაობა უფრო ქმედითი უნდა გახდეს.

დ. ტიტვინინძემ (რუისის მტს-ის დირექტორი) აღნიშნა: კოლმეურნეობის მხრივ მტს-ის კოლექტივს საყვედური არ ეთქმის. მექანიზატორებს რაიონში ყველაზე მეტად ამ კოლმეურნეობაში უწყობენ ხელს, მაგრამ რატომღაც მაინც ვერ მივაღწიეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას. მტს-ისა და კოლმეურნეობის მუშაობის ნაკლია ისიც, რომ დღემდე მეცხოველეობის ფერმებში ვერ დავნერგეთ შრომის მექანიზაცია. წელს საჭირო იქნება კოლმეურნეობამ და მტს-მა იზრუნონ ფერმის მექანიზაციისათვის. ამის შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს.

დ. ნახუცრიშვილმა (მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი) თქვა: 8 წელია ვმუშაობ ბრიგადირად. კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ საშუალება მოგვეცა ფართოდ გამოგვყენებინა მექანიზაცია. ახლა ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი ნაკვეთის 97 პროცენტი ტრაქტორით მუშავდება. შარშან ჩვენმა ბრიგადამ 1950 წელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე 5 ცენტნერით მეტი ხორბალი მოიყვანა. ასევე გაიზარდა სხვა კულტურების მოსავალი. მაგრამ მიუხედავად ამისა ვერ შევასრულეთ როგორც ხორბლის, ისე სიმინდის მოსავლიანობის დავალება. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზუსტად ვერ ვახორციელებთ აგროწესებს. როგორც აგრონომები, ისე პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად გვეხმარებიან მოწინავეთა გამოცდილების დანერგვაში, სათანადოდ მოწესრიგებული არ არის აგრეთვე შრომა.

ი. კოპაძე (რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი) ამბობს: კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ აგრონომები კოლმეურნეობას ვერ ეუწყვეთ სათანადო დახმარება აგროწესების ზუსტად განხორციელების საქმეში, აგრონომების ცუდი მუშაობის შედეგად ზოგიერთი სამუშაო უხარისხოდ სრულდება. სამართლიანია კრიტიკა სოფლის მეურნეობის განყოფილების მიმართ, რომელმაც ზემდგომ ორგანოებს აცნობა, კოლმეურნეობას 21 ჰექტარი ვენახი აქვსო, როცა ფაქტიურად მხოლოდ 7 ჰექტარი აქვს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ა. ქორთუაშვილი, გ. ქვრივიშვილი, ე. თეთრუაშვილი და სხვები, სულ 12 კოლმეურნე. მათ მკაცრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კოლმეურნეობას სრული შესაძლებლობა აქვს გააადიდოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგრამ ამას ვერ იყენებდნენ ვერც კოლმეურნეობის გამგეობა, ვერც პირველადი პარტიული ორგანიზაცია და რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები. ისინი მუდმივ ყურადღებას არ აქცევდნენ ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებას, კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის, არ სწავლობდნენ ჩამორჩენის მიზეზებს.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა სათანადო ღონისძიებები. გადაწყდა წელს 5 ჰექტარზე გააშენონ ახალი ვენახი, აგროვადებში ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, განახორციელონ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, სრულ წესრიგზე მოიყვანონ სარწყავი არხები, ბოსლებში გაიყვანონ ელექტროშუქი, ააშენონ აბანო და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, აგროწესების ზუსტად განხორციელებით, შრომის მოწესრიგებით და მექანიზაციის სრულყოფილად გამოყენებით საშუალოდ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით მიიღონ 10 ცენტნერით მეტი ხორბალი, შაქრის ჭარხლის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 400-500 ცენტნერი მოსავალი, საგრძნობლად გაადიდონ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა, რომელთა კრება კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩატარდა, პირობა დადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი და მთელი ძალები დარაზმონ მათ წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

თუთის ხის ახალი ჯიში „გრუზია“

გ. ჯაფარიძე,
თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეთუთეობის სექტორის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

მეაბრეშუმეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია მტკაცე საკვები ბაზის შექმნაზე. ცნობილია, რომ საკვების რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს აბრეშუმის დამზადების ოდენობას და უზრუნველყოფს სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებას. საქართველოს მეაბრეშუმეებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი წარმატებები მოიპოვეს. აბრეშუმის პარკის დამზადების დონის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი უჭირავს. მაგრამ, უკანასკნელი ათი წლის განძილზე ჩვენი მეაბრეშუმეობა ჩამორჩა იმ მოთხოვნებს, რომლებიც მას აქვს წაყენებული, ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული ამ საქმის წინწასაწევად. მეაბრეშუმეობაში ეს ჩამორჩენა მნიშვნელოვნად აიხსნება საკვების სიმცირით და მისი დაბალი ხარისხით.

ჩვენს რესპუბლიკაში თუთის ფოთლის მცირე მოსავლიანობა იმით აიხსნება, რომ ამჟამად ნარგავების 60-70 პროცენტი უჯიშო, გარეული ფორმის წვრილფოთოლა თუთას უჭირავს.

თუთის ფოთლის მოსავლიანობის გაზრდა და კვებითი ხარისხის გაუმჯობესება, შესაძლოა არა მარტო თუთის ხეების რიცხვის გამრავლებით, არამედ, აგრეთვე ისეთ ღონისძიებათა განხორციელებით, როგორიც არის ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, მორწყვა და, რაც მთავარია, უხვმოსავლიანი ახალი ჯიშების მომრავლება.

ჩვენს მეაბრეშუმეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან იგი საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას შეადგენდა, დიდ როლს ასრულებდა მის ვაჭრობაში. საქართველოს კლიმატის პირობები მეტად ხელსაყრელია თუთის კულტურის ზრდა-განვითარებისათვის.

ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიჩურინი ჯიშის გამოყვანისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წარმომშობ მცენარეთა საფუძვლიან შესწავლას. ამიტომ ჩვენი პირველი მუშაობა 1935 წლიდან დაწყებული მიმართული იყო საქართველოში გავრცელებული თუთის სახეობათა ფორმების და ჯიშების შესწავლისკენ. ექსპედიციური გამოკვლევის შედეგად მრავალი სახეობანი, ფორმები და ჯიშები იქნა დადგენილი.

საქართველოს მეაბრეშუმეობის საკვები ფონდი შემდგარია მოსახლეობის მიერ სელექციის გზით მიღებული ჯიშებისაგან, ბუნებრივი ჰიბრიდიზაციის გზით მიღებული მცენარეებისა და ძირითადად გარეული ფორმებისაგან. მუშაობის დაწყების პირველსავე წლებში ზემოთ ნაჩვენები მასალიდან გამოვლინებულ იქნა ერთმეორისაგან გარეგნული ნიშნებით მკვეთრად განსხვავებული თუთის 600-მდე ფორმა.

ახალთვისებიანი ჯიშის მიღება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული, რის გამო სელექციონერია უხდება მეტად დაკვირვებული მუშაობა, რომ სასურველი ჯიში მიიღოს.

ჩვენს მიზანს შეადგენდა მიგვეღო თუთის ხის ისეთი ჯიში, რომელშიც შეთავსებული იქნებოდა რაც შეიძლება მეტი დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებანი, უპირველეს ყოვლისა ფოთლის უხვი მოსავლიანობა, სინოყივრე, ნელი ჭკნობადობა, ადრეული ვეგეტაცია, დაავადებისადმი გამძლეობა და ზამთრის ამტანობა, ბოლოს მისი მომრავლების სიადვილე. აღნიშნული მასალა საფუძვლად დაედო ჩვენს სასელექციო მუშაობას და პირველ რიგში ეს ჯიშები გამოვიყენეთ საწყის წარმომშობ თაობად. შერჩეული საუკეთესო ჯიშებიდან აღებული კვირტებით დავამყნეთ ორწლიანი ნერგები და მიეღოთ კლონები, რომლებიც შემდეგ გამოვიყენეთ მომდევნო სელექციური მუშაობისათვის.

საბჭოთა დიდი მეცნიერების ი. ვ. მიჩურინის, ტ. დ. ლისენკოს, კ. ა. ტიმირიაზევის დებულებათა საფუძველზე გავშალეთ მუშაობა, რის შედეგადაც შევძელით თუთის სასურველ ჯიშთა მიღება. ახალი ჯიში თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ჩვენი მეაბრეშუმეების მოთხოვნილებებს, უხვად იძლევა მაღალი კვებითი ღირსების ფოთოლს, ფოთოლი გვიან ჭკნება, კარგად უძლებს მკაცრ ზამთარს და დაავადებებს, მისი ნამყენი 90-95 პროცენტით ხარობს და სხვ.

ჩვენ მიერ მიდებულმა ჯიშმა „გრუზიამ“ მისი გამოცდის და შესწავლის შემდეგ მაღალი მაჩვენებლები გამოამჟღავნა. ჯიშის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა მისი საარსებო პირობების გაუმჯობესებამ, მაღალი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებამ, მინერალური სასუქების შეტანამ, ნიადაგის დამუშავებამ, მორწყვამ, თუთის ხეების წესიერმა გამოყენებამ.

საბოლოოდ დადგენილია, რომ „გრუზიას“ ჯიშის ყლორტები გადაკრის შემდეგ პირველსავე წელს სწრაფად იზრდება და 2,5-3 მეტრამდე აღწევს. ამ ჯიშის სრულწლოვანი ნარგავების ერთი ჰექტარი პლანტაცია იძლევა სულ მცირე 100 ცენტნერ ფოთოლს ანუ 60 ცენტნერით მეტს, ვიდრე გარეული წვრილფოთოლა თუთა.

ერთ ჰექტარზე მიღებული „გრუზიას“ ფოთლით გამოკვებილმა აბრეშუმის ჭიამ სამჯერ მეტი პარკი მოგვცა, ვიდრე გარეული ფორმის თუთის იმავე ფართობიდან მიღებული ფოთლით გამოკვებილმა ჭიამ.

ამ ჯიშის მეტად ძვირფასი თვისებაა ისიც, რომ მისი კვირტები (თებერვალში დამზადებულ კალმებზე) დამზადების შემდეგ ჯერ მაცივრებში, შემდეგ კი ქვევრებში შენახვისას 5 თვის განმავლობაში გახარების მაღალ უნარს ინარჩუნებენ, რაც მყნობის ვადების გახანგრძლივების საშუალებას იძლევა.

ამ ჯიშის ფოთოლი მოკრეფის შემდეგ დიდხანს არ ჭკნება. საერთოდ მისი ფოთოლი გვიან უხეშდება და ამიტომ საჭირო შემთხვევაში გამოსადეგია განმეორებითი გამოკვებისათვისაც. დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს ამ ჯიშის ყინვისადმი გამძლეობაც, რაც მისი ცივ, მაღალ ადგილებში გაშენების საშუალებას იძლევა. საქართველოს რაიონების სხვადასხვა პირობებში ამ ჯიშის გაშენებამ და სპეციალისტების — მ. შაბლოვსკაიას, ა. კაფიანის, გ. ალექსიძის, ე. გიგაურის, ვ. ცხოიძის, ქ. დგებუაძის მიერ მრავალმხრივმა შესწავლამ ცხადი გახადა, რომ ეს ჯიში საუკეთესოა თუთის ჯიშთა შორის.

ამრიგად, თუთის ხის ახალი ჯიში, „გრუზია“ 2,5-3-ჯერ მეტ და უკეთესი ხარისხის ფოთოლს იძლევა, ვიდრე არსებული ჯიშები. ნამყენი ნერგი მუდმივ ადგილზე დარგვის 5-6 წლის შემდეგ იძლევა პირველ მოსავალს, ხოლო უჯიშო ნარგავების ხნიერი ხეები დამყნის შემდეგ მეორე წელსვე იძლევიან ფოთლის გაორკეცებულ და გასამკეცებულ მოსავალს.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო, რომ ეს ჯიში ახლო გაეცნოთ თვით მეაბრეშუმეებს, და თავისი აზრი გამოეთქვათ. პირველ ხანებში მეაბრეშუმენი ეჭვით უცქეროდნენ ხის განიერ, მუქმწვანე ფერის ფოთოლს და ფიქრობდნენ, რომ ის აწყენდა აბრეშუმის ჭიას, მაგრამ ეჭვი არ გამართლდა. ამჟამად მეაბრეშუმეები დიდი ხალისით იყენებენ აბრეშუმის ჭიის საკვებად თუთის ახალი ჯიშის „გრუზიას“ ნოყიერ ფოთოლს.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მიგვითითა: „ჩვენი მეაბრეშუმეობის წინაშე დასმულია ამოცანა — დამყნობის გზით მიაღწიოს იმას, რომ პლანტაციებში ყველა თუთის ხე და ცალკე დარგული თუთის ხეების სულ ცოტა 30-40 პროცენტი 1955 წლისათვის ხარისხობრივი გახდეს“.

ამ ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდეთ მყნობას, ნამყენთა გახარებას, მყნობელთა კადრების მომზადებას. მოკლე დროში ჯიშიანი ნერგების რიცხვის გაზრდა შესაძლოა მხოლოდ ექსპლოატაციაში მყოფი ხნოვანი უჯიშო ხეების მყნობით. მყნობა უნდა მოხდეს იმ დროს, როცა უჯიშოების ფოთოლს ჭიას მთლიანად მივაწოდებთ, ე. ი. ივნისსა და ივლისში. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ნამყენის გახარებას. ნამყენთა გახარების პირობას, როგორც ამას გვიჩვენებს ჩვენ მიერ ჩატარებული მყნობის შედეგების ციფრების ანალიზი, განსაზღვრავს: კალმების დამზადების დრო და წესები, ამ კალმების მოვლა-პატრონობის და შენახვის პირობები, თვით მყნობელის გამოცდილება, მყნობის ვადები, ჯიშის თვისებები, ნამყენის შემდგომი მოვლა-პატრონობა და, ბოლოს, ჯიშის მოთხოვნილების თავისებურებათა დაკმაყოფილება.

ფართოდ უნდა გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება. ცხაკაიას, ხობის, ვანის, ლანჩხუთის, გურჯაანის რაიონებში არის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც კარგად მუშაობენ სტანდარტული ნერგების გამოყვანისა და ნამყენთა გახარების საქმეში. წულუკიძის სახელმწიფო სანერგის მყნრებელმა შ. გეგიამ 1951 წელს დაამყნო 45.000 კვირტი და 85 პროცენტი გაახარა. ის ყოველდღიურად ამყნობს 2.500 ცალს. ლანჩხუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ე. ბერაიამ 1950 წელს კრონაში მაღალტანიან ხნიერ ხეებზე დაამყნო 18.000 კვირტი და 88,4 პროცენტი გაახარა. მყნობის ოსტატთა რიგების გამრავლება ჩვენი გადაუდებელი საქმეა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მეაბრეშუმეობის განვითარებას. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე მოწვეულ თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მაღალი შეფასება მისცა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მუშაობას თუთის ხის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანის საქმეში. ეს ჩვენ აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად და ბევრ რამეს გვავალებს ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების მხრივ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე მოწვეულ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: „ახლა ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მეაბრეშუმეობა ჩვენში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე, სანიმუშო დარგი გახდეს. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ამას და, რა თქმა უნდა, მივაღწევთ“.

ამ მითითების განსახორციელებლად თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი უფრო მეტი მონდომებით იმუშავებს და აქტიურად იბრძოლებს თუთის ხის ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვისათვის.

საბჭოთა საქართველოში

★

საცხოვრებელი სახლები რკინიგზელებს

სამტრედია. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში სამტრედიაში რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთათვის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი აშენდა. მეხუთე ხუთწლედის ბოლომდე განზრახულია კიდევ რამდენიმე საცხოვრებელი სახლის აშენება. ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს 16-ბინიანი ორსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია სადგურ სამტრედიის მუშა-მოსამსახურეებისათვის და დამთავრდება მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის.

ქალაქის ცენტრში სტალინის ქუჩაზე დაწყებულია რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა 16-ბინიანი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აქვე შენდება აგრეთვე 16-ბინიანი საცხოვრებელი სახლი საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებისათვის. სახლების მშენებლობაზე 2 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

რუსთავი მწვანით იმოსება

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის — რუსთავის გასამწვანებლად ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის გამწვანების სამმართველომ ბათუმიდან, ფოთიდან, წყალტუბოდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა კუთხეებიდან მიიღო რამდენიმე ვაგონი მრავალწლიანი (25-30 წლის) დეკორაციული ხეები და ბუჩქები.

ქალაქ მახარაძის მშრომელებმა რუსთავს საჩუქრად გამოუგზავნეს ათობით ძირი ძვირფასი ჯიშის დეკორაციული ხეები — კედარი, მაგნოლია, წითელი ნეკერჩხალი და სხვ.

ხეები და ბუჩქები დაირგო რუსთავის ცენტრალური პროსპექტის გაყოლებით და სკვერებში. დეკორაციულმა ხეებმა კიდევ უფრო დაამშვენა მეტალურგთა ქალაქი რუსთავი.

ახალგაზრდა მწერლების თათბირი

სუხუმი. (საკ. კორ.). შედგა აფხაზეთის ახალგაზრდა მწერლების თათბირი.

თათბირმა მოისმინა პოეტ შ. აკობიას და დოცენტ ს. ხუციშვილის მოხსენებები თემებზე — „აფხაზეთში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება“ და „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“.

„ამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ამხ. ქ. კოკაიამ, მსახიობმა ე. საყვარელიძემ, ხ. ბღაჟბამ, ვ. კვარაცხელიამ, ა. ლასტრიამ, კ. გოგიავამ, ვ. დუდუჩავამ, ზ. ნაყოფიამ და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ი. თარბამ.

თათბირის დამთავრების შემდეგ მოეწყო სექციური მუშაობა. განხილულ იქნა დამწყები მწერლების ნ. ხუნდაძის, კ. ჩაჩხალიას, ე. სიგუას, ნ. თარბას ნაწარმოებები.

„განახლებული მიწა“

პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ დაწერა ახალი კინოსცენარი „განახლებული მიწა“. სცენარი ასახავს ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომას ჩვენი ქვეყნის ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებისათვის.

სცენარის განხილვა შედგება დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში, კინოდრამატურგიის კომისიის საჯარო სხდომაზე.

სურათზე: ანსამბლი „ბერიოზკა“ ასრულებს გუნდურ ცეკვას „ძეწკვი“.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

ანსამბლ „ბერიოზკას“ გასტროლები

... რუსული ხალხური სიმღერის ნაცნობი მელოდია გაისმის დარბაზში. სცენაზე გამოჩნდნენ ძველებურ რუსულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები. ხელში უჭირავთ არყისხის მწვანე ტოტები. ქალიშვილების მშვიდი, მოღიმარი სახეები, მათი ნარნარი მოძრაობა მომხიბლავია და ლირიზმით გამსჭვალული. ისინი ფერხულს აბამენ, უხმაუროდ მისრიალებენ სცენაზე, ცეკვავენ ისე ნარნარად, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი კი არა, თვით სცენა მოძრაობს. და აი გაქრა თეატრი, მაყურებლის წინაშეა მზის სხივებით გაშუქებული მწვანე მდელო არყისხის ქალის პირას. გაზაფხულის ღილას აქ საცეკვაოდ გამოსულან ქალიშვილები. მათი ფერხული გადმოგვცემს რუსული ხალხური ცეკვის მთელ მომხიბლაობას.

ფერხული „ბერიოზკა“, რომლითაც გახსნა პროგრამა რუსული ცეკვის ანსამბლმა სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. ს. ნადეჟდინას მხატვრული ხელმძღვანელობით, ტრადიციული გახდა ახალგაზრდა შემოქმედებით კოლექტივისათვის, რომელმაც ამ ცეკვის მიხედვით მიიღო თავისი სახელწოდება.

ასეთსავე ნელ, ნარნარ მოძრაობაზეა აგებული ფერხული „ლებიოდუშკა“, რომელშიც მოცეკვავეთა ხელების მოძრაობა გედის გრაციოზულ მოძრაობას გვაგონებს.

მესამე ფერხულს — „ძეწკვს“ მაყურებელი ძველ რუსეთში გადაჰყავს. ოქრომკედით მოქარგულ ხავერდის მძიმე იისფერ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები რეპინისა და მაკოვსკის სურათების ბოიარინთა ასულებს ჰგვანან. ეს ცეკვა ხასიათდება ზუსტად გამოკვეთილი, შეწყობილი პოზებით, ცეკვის რთული ქარგით.

ძველებურ ხალხურ გუნდურ ცეკვებს ცვლის თეატრალიზებული ქორეოგრაფიული სახუმარო ეტიუდები. ძნელია გამოცალკევო რომელიმე მათგანი. ისინი ყველანი საინტერესოდ არიან მოფიქრებულნი და ოსტატურად დამუშავებულნი, რაც დამდგმელის ნ. ს. ნადეჟდინას მაღალ მხატვრულ გემოვნებას მოწმობს. ყველა ცეკვა გამოირჩევა მოძრაობის მკაფიობითა და რიტმულობით.

აღსანიშნავია ცეკვა „ტროიკა“, რომელსაც შესანიშნავად ასრულებენ მოცეკვავენი ნ. დონინკოვა, კ. რომანოვა და ლ. ტრინოვა, სახუმარო „პოლონური“, ახალგაზრდული იუმორით აღსავსე „პროხოდკა“, სწრაფი ტემპით შესასრულებელი ცეკვა „კარუსელი“.

რამდენადმე ცალკე დგას ორი ანსამბლური ცეკვა — „ქალიშვილთა ლირიკული“ და „საბჭოთა ახალგაზრდული“. ისინი სრულდება სიმღერის თანხლებით. „ქალიშვილთა ლირიკულის“ მუსიკა დაწერილია ი. დუნაევსკის მიერ ყუბანური სიმღერის მოტივზე. ეს სიმღერა ფართოდ არის ცნობილი კინოფილმ „ყუბანელი კაზაკების“ მიხედვით, რომელშიც გადაღებულია ანსამბლი „ბერიოზკა“.

„ქალთა კაზაკური ცეკვა“ გვაცნობს დადგმის სირთულით. ცალცალკე ჯგუფებად დანაწილებული მოცეკვავენი ასრულებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცეკვებს, რომლებიც ერთიან კომპოზიციურ შთაბეჭდილებას ქმნიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. ტრინოვას, თ. ლუკიანოვასა და ი. ეფიმოვას ვირტუოზული შესრულება.

საინტერესოდ არის დადგმული კონცერტის ფინალში ნაჩვენები ცეკვა „საბჭოთა ახალგაზრდული“, რომელიც უმღერის ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებას.

ანსამბლის ხალხურ ხასიათს კიდევ უფრო უსვამს ხაზს შესანიშნავი მუსიკალური თანხლება. აკომპანემენტშიც და სოლო ნომრებშიც მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს ბაიანის დამკვრელებმა ე. კუზნეცოვმა და ბ. გალკინმა, ბალალაიკის დამკვრელმა ლ. ვლადიმიროვმა.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხალხით გაჩეღილი დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა რუსული ხალხური ცეკვის შესანიშნავი ანსამბლის „ბერიოზკას“ პირველ გამოსვლას.

ლ. მარკოზიშვილი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ფოთი. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრის შენობის ზედა სართულის ოთახები უჭირავს ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

პირველ ხანებში აქ გამოფენილი იყო კოლხიდის უძველესი პერიოდების ამსახველი მასალები — კოლხური ჭედურობა, მეტალურგიის, კერამიკის ნიმუშები, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, ფლორისა და ფაუნის ნაშთები, მათი გეოლოგიური ანაბეჭდები. ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი მასალებს ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შესახებ.

მიმდინარე წლის 22 თებერვლისათვის მზად იქნება რამდენიმე განყოფილება, სადაც გამოფენილი იქნება მეხუთე ხუთწლედის ამოცანებთან დაკავშირებული მასალები. ცალკე განყოფილება შეიქმნება მასალებისათვის „ფოთის საწარმოები — კომუნიზმის დიდ მშენებლობებს“. გამოფენილი იქნება ფოთის ცნობილი ადამიანების — საბჭოთა კავშირის გმირების, სტალინური პრემიის ლაურეატების, სოციალისტური შრომის გმირების სურათები.

მზადდება თემატური ექსპოზიცია „კოლხიდის თანამედროვე ფლორა და ფაუნა“.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთელი მუშაობა, როგორც ზოგადენათმეცნიერული პრობლემების, ისე ცალკეული ენებისა და ენათა მონათესავე ჯგუფების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა წარმოებს დიდი სტალინის გენიალური შრომების — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ საფუძველზე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარეობს ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების ძირითადი საკითხების მონოგრაფიული შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია ინსტიტუტის ორგანოს — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ III ტომი, რომელიც შარშან გამოვიდა და მთლიანად მიეძღვნა ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების ძირითად პრობლემებს. ამ ტომში შესულია 12 ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ა. ჩიქობავას გამოკვლევები: „საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები და ძირითადი პრობლემები“, „ისტორიზმის საკითხი ენათმეცნიერებაში სტალინურ საენათმეცნიერო მოძღვრების თვალთახედვით“, პროფესორ ქ. ლომთათიძის — „ენის განვითარების კანონზომიერების შესახებ“, ი. გიგინეიშვილის — „ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“ და სხვ.

ინსტიტუტის განსაკუთრებულ მიღწევას წარმოადგენს პროფესორ ა. ჩიქობავას ნაშრომი „ენათმეცნიერების შესავალი“. ეს წიგნი მიღებულია როგორც სახელმძღვანელო სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შესადგენად. უკვე გამოიდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ორი ტომი. მესამე ტომი გამოვა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. ლექსიკონის 8 ტომის გამოცემა დასრულდება მეხუთე ხუთწლედის ბოლოს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა საშეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენაზე. დასაბეჭდად გამზადებულია ტექნიკური ტერმინების ლექსიკონი, რომელიც ყველა დარგს ეხება და მოიცავს 60 ათასამდე ტერმინს. შედგენილია აგრეთვე იურიდიული ტერმინოლოგია. მზადდება სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია.

1950 წლიდან, ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თბილისის ოლქის მცხოვრებთა მეტყველების შესწავლას. გასულ წელს ინსტიტუტმა კასპის, გორის, თეთრი წყაროს, თელავის, ყვარლის, ახმეტის რაიონებში, აგრეთვე ზემო სვანეთში, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში და დღისტანში მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია, რომლებშიც 18 მეცნიერი თანამშრომელი მონაწილეობდა. ექსპედიციები ითვალისწინებდა დიალექტოლოგიური და სალექსიკონო მასალის შეკრებას, მის შემდგომ შესწავლასა და მონოგრაფიულად დამუშავებას.

შეგროვებულია მდიდარი სალექსიკონო მასალა, აგრეთვე ჩაწერილია დიალექტოლოგიური ტექსტები. მოპოვებული მასალების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ქართული და კახური დიალექტოლოგიური ლექსიკონების შესადგენად.

შარშან ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა გ. იმნაიშვილმა და ა. მარტიროსოვმა შეგროვებული მასალების საფუძველზე დაწერეს მონოგრაფია „კახური დიალექტი“, რომელიც მიღებულია დასაბეჭდად. გამოკვლევაში წარმოდგენილია ამ დიალექტის სრული მიმოხილვა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული სტრუქტურის მხრივ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტს შემოქმედებითი კავშირი აქვს რაიონების ინტელიგენციასთან. სოფლის მასწავლებლები მეტად საყურადღებო მასალებს აგროვებენ. სალექსიკონო მასალების შეგროვებაზე ნაყოფიერად მუშაობენ მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის და კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საშუალო სკოლის მასწავლებლები მ. ლაშაური და ა. შაყულაშვილი. მათ ქართული ლექსიკონისათვის გასულ წელს 1.500-მდე სიტყვა შეკრიბეს.

დიდი მუშაობაა გაწეული სვანური ენის შესწავლისათვის. ამ კუთხის მკვიდრნი, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ა. დავითიანი და მ. ქალდანი სწავლობენ ბალზემიერ კილოს, ამუშავებენ სვანური ენის გრამატიკისა და ფონეტიკის საკითხებს. მათ მდიდარი მასალა შეაგროვეს და გამოსაცემად გაამზადეს სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ნაყოფიერად მუშაობს მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილება, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ჩიქობავა ხელმძღვანელობს. დაღისტანში და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში უამრავი ენებია (ადიღეური, ყაბარდოული, ანდიური, დიდოური, დარგული, ჰინუხური, ხვარშიული, ტაბასარანული, რუთულური, ბოთლიხური, არჩული). ისინი ქართველური ენების მონათესავენი არიან. ამ ენათა შესახებ დაიწერა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, რომელთა ნაწილი უკვე გამოქვეყნდა.

1950 წლიდან ინსტიტუტმა დაიწყო წინა აზიის ძველი ენების ლექსიკისა და გრამატიკული წყობის გეგმაზომიერი შესწავლა. ამ თვალსაზრისით წლების განძილზე მიმდინარეობს ურარტულის შესწავლა. ამჟამად ინსტიტუტი ამზადებს სათანადო კადრებს იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ეს მუშაობა მთელი ინტენსივობით გაიშალოს.

ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაშრომმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახალი ამოცანები დააყენა ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე. მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებულია პროფესორ ქ. ლომთათიძის გამოკვლევა — „ენის განვითარების კანონების ბუნება ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით“. ინსტიტუტმა გააძლიერა აგრეთვე მუშაობა ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის საკითხებზე.

ფართოდ დანერგოთ აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება სამედიცინო პრაქტიკაში

საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-5 პლენუმმა მოისმინა დიდმნიშვნელოვანი საკითხი — რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების დანერგვის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ამხ. შ. ეგნატაშვილმა და საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებელმა ამხ. გ. ომნიშვილმა.

— 1950 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სესიაზე, რომელიც მიძღვნილი იყო აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების განვითარების საკითხისადმი, — აღნიშნეს მომხსენებლებმა, — ნაჩვენები იქნა პავლოვის მოძღვრების უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა მედიცინის ყველა დარგისათვის.

ამ სესიის შემდეგ პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრინციპების საფუძველზე გარკვეული ღონისძიებანი განხორციელდა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნისათვის. დასახულ იქნა ღონისძიებანი კიევის ოლქის მაკაროფოს რაიონული საავადმყოფოს მუშაობის გამოცდილების დასანერგავად. ეს გამოცდილება აღსანიშნავია იმით, რომ აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების საფუძველზე მაკაროფოს საავადმყოფოს თანამშრომლებმა შეიმუშავეს და პრაქტიკაში დანერგეს სპეციალური რეჟიმი, რომელსაც დაცვითი სამკურნალო რეჟიმი უწოდეს. ამ რეჟიმის ხელმძღვანელ პრინციპს წარმოადგენს ავადმყოფის დაცვა გარემოს ყველა უარყოფითად მოქმედი ფაქტორისაგან და მისი ნერვულ-ფსიქიკური ტონუსის ამაღლება. განსაკუთრებით ეს უარყოფითი ფაქტორებია საავადმყოფოს ხმაური და სპეციფიკური სუნი, მტკივნეული სამკურნალო და დიაგნოსტიკური პროცედურები და სხვა. საავადმყოფოს თანამშრომლებმა გაძლიერებული ვენტილაციით მოსპეს ყნოსვითი გამაღიზიანებლები (ჩირქისა და წამლის სუნი), შემოიღეს ხმადაბლა ლაპარაკი, ფართოდ დანერგეს ძილით თერაპია. მაკაროვოელებმა მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებაც განახორციელეს.

მაკაროვოელთა შესანიშნავ ინიციატივას საქმიანად გამოეხმაურნენ წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს მუშაკები. მათ კარგად მოაწყეს მაკაროვოს საავადმყოფოს გამოცდილების მიხედვით მუშაობა და საყურადღებო შედეგებიც მოიპოვეს. ამის შესახებ ვრცლად იყო ნათქვამი მოხსენებებში. პავლოვის მოძღვრების შესწავლას კარგად მოჰკიდეს ხელი აფხაზეთის მედიცინის მუშაკებმაც.

საქართველოს მთელმა რიგმა სამედიცინო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ი. პ. პავლოვის შრომების შესწავლისა და პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვისათვის. მაგრამ ამ მხრივ მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ ცოტა რამ კეთდება მაკაროფოს და ვინოგრადოვოს რაიონული საავადმყოფოების გამოცდილების დასანერგავად.

ჩვენი რესპუბლიკის ოლქებსა და რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში კარგა ხანია შეიქმნა პავლოვური კომისიები. სამედიცინო დაწესებულებებში მოეწყო პავლოვის მოძღვრების შემსწავლელი წრეები. მა

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მე-7 სესიაზე

სოფია, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ორი დღის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მე-7 სესიამ.

რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გამო კამათში გამოვიდა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, რომელსაც დეპუტატები გულთბილად შეხვდნენ. იგი თავის სიტყვაში შეეხო სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს ამოცანებს, რომლებიც ბულგარელმა ხალხმა უნდა გადაჭრას 1953 წელს.

საბიუჯეტო კომისიის მომხსენებლის ანგელ გენოვის გამოსვლის შემდეგ სახალხო კრებამ ერთსულოვნად მიიღო რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების უზრუნველყოფისა და მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ბიუჯეტი.

ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავლის ნაწილს 19.020.992.734 ლევის რაოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილს 17.972.992.734 ლევის რაოდენობით. შემოსავალი გასავალს გადააჭარბებს 1 მილიარდზე მეტი ლევით. რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის 77 პროცენტზე მეტს შეადგენს სახელმწიფო საწარმოებისაგან მიღებული თანხები. მოსახლეობისაგან მიღებული გადასახადები შეადგენს მის უმნიშვნელო ნაწილს — სულ 6,6 პროცენტს. ბიუჯეტის ძირითადი ხარჯები — 77,8 პროცენტი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. 1 მილიარდ 100 მილიონზე მეტი ლევი გათვალისწინებულია ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციისათვის. ბიუჯეტი ითვალისწინებს კრედიტს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 1.011.583.306 ლევის რაოდენობით. ახალი ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. რესპუბლიკის თავდაცვის ხარჯები შეადგენს 11,6 პროცენტს.

სახალხო კრებამ ერთსულოვნად მიიღო აგრეთვე კანონი კოოპერაციის შესახებ. ამ კანონის მიზანია კოოპერაციის ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცება.

სესია მუშაობას განაგრძობს.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა

ბუდაპეშტი, 10 თებერვალი. (საკდესი). გაიმართა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ბუდაპეშტის ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზეც არჩეულ იქნენ საზოგადოების მეორე ყრილობის დელეგატები. საზოგადოების ბუდაპეშტის ორგანიზაციის მდივანმა ანდრაშ მადაიმ თავის მოხსენებაში ილაპარაკა, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენენ უნგრეთის დედაქალაქის მშრომელები საბჭოთა კავშირის ცხოვრებისადმი და რა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ბუდაპეშტის ორგანიზაციამ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსამტკიცებლად. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პირველი ყრილობის (1950 წლის დეკემბერი) შემდეგ დედაქალაქში საბჭოთა კავშირის შესახებ წაკითხულია 15 ათასი ლექცია, რომლებიც მოისმინა 1.500 ათასმა კაცმა. 550 ათასზე მეტმა კაცმა ნახა გამოფენები „კომუნიზმის მშენებლობანი მშვიდობის მშენებლობებია“ და „კომუნიზმის გზით“.

დედაქალაქის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ რუსული ენის შესწავლისადმი. ბუდაპეშტში გაიხსნა რუსული ენის 1.850-მდე კურსები, რომლებზეც 21 ათასი კაცი სწავლობს.

ბუდაპეშტში უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების 555 ათასი წევრია. ახლა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დედაქალაქის ორგანიზაცია ემზადება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის, რომელიც დაიწყება 18 თებერვალს. 13 თებერვალს — საბჭოთა არმიის მიერ ბუდაპეშტის განთავისუფლების მე-8 წლისთავის დღეს გაიხსნება საბჭოთა ფილმების ფესტივალი.

ალბანელი ხალხი იწონებს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებებს

ტირანა, 11 თებერვალი. (საკდესი). ალბანეთის რაიონულ და სამრეწველო ცენტრებში მოწყობილ მიტინგებზე ალბანელი მშვიდობისმოსრენი მხურვალედ იწონებენ ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებებს. ტირანაში, ბერატში, ელბასანში და ქალაქ სტალინის ნავთის სარეწაოებში გამართულ მიტინგებზე გამოვიდნენ კონგრესის ალბანეთის დელეგაციის წევრები — ელენი ტერეზი, სულო მუში და კოლ პაპარისტა.

გამოხატავენ რა თავის სრულ მხარდაჭერას კონგრესის გადაწყვეტილებებისადმი, მშრომელები სიტყვას იძლევიან მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ სახელმწიფო გეგმები, გაადვილონ რევოლუციური სიფხიზლე, რათა დაიცვან თავისი სამშობლო და მშვიდობის საქმე იმპერიალისტ ომის გამჩაღებელთაგან.

ახალი ანგიმუშური კანონპროექტი იაპონიაში და პროგესტები მის წინააღმდეგ

შანხაი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, დღეს იაპონიის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დამტკიცდა კანონპროექტი ელექტროენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობაში საგანგებო ბრძოლის შეზღუდვის შესახებ. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ბრძოლა ისეთ საშუალებათა აკრძალვას, როგორიცაა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა და გაფიცვა ელექტროსადგურებში.

გაზეთი „მაინიჩი“ იტყობინება, რომ იაპონიის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირმა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა დაიწყეს ბრძოლა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ, რადგან ეოსიდას მთავრობის ახალ ანტიმუშურ აქტს მოყვება მთლიანად მუშათა კანონმდებლობის გაუარესება.

შანხაი, 11 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა რეაქციული კანონპროექტი ქვანახშირისა და ელექტრომრეწველობის მუშების უფლებების შეზღუდვის შესახებ. კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ იაპონიის მრეწველობის ამ დარგების საწარმოებში აიკრძალოს გაფიცვები.

კანონპროექტის გამოქვეყნების პასუხად იაპონიის მემარცხენე სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ ეს კანონპროექტი ხელყოფს მუშათა უდავო უფლებებს და გადაწყვიტა ჩაფუშოს იგი პარლამენტში მომავალი განხილვის დროს.

ამ რეაქციული კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე იაპონიის ელექტრომრეწველობის მუშათა ეროვნულმა კავშირმა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ეროვნულმა პროფკავშირმა.

იაპონელი ხალხი იბრძვის ამერიკის მოძალეობის წინააღმდეგ

შანხაი, 11 თებერვალი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ტოკიოს პრეფექტურის ერთ-ერთი სოფლის გლეხებმა გააჩაღეს საპროტესტო მოძრაობა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელ ოკუპანტებს განზრახული აქვთ ამ სოფელში ააგონ ყაზარმები თავიანთი ჯარისკაცებისათვის.

ამ პროტესტებმა იაპონიის ხელისუფლები აიძულა მიემართათ თხოვნით ამერიკის სარდლობისათვის, რომ ყაზარმების ასაშენებლად გამონახოს სხვა ადგილი.

ამერიკული „დახმარების“ უღელქვეშ.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაახიანეს 5 თვითმფრინავი.

ამერიკელთა სამხედრო ხროვის ახალი სისხლიანი ბოროტმოქმედება კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების“ სარდლობამ გამოაცხადა, რომ გუშინ კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოკლეს ერთი და დაჭრეს 38 სამხედრო ტყვე, მათგან 13 — მძიმედ. სარდლობის განცხადებაში ნათქვამია, რომ „გაერთიანებული ერების ჯარები გრანატებსა და ცეცხლსასროლ იარაღს იყენებდნენ“ სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ.

ლისინმანელთა არმიის გახრწნა

პეკინი, 10 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ყორეული ფრონტიდან იუწყება, რომ სამხრეთკორეული ჯარისკაცები კვლავ ნებდებიან ჩვენ კორეის სახალხო არმიის მებრძოლებსა და ჩინელ სანალხო მოხალისეებს. როგორც სამხრეთ კორეიდან გადმოსულნი ამბობენ, სამხრეთ კორეის არმიის შენაერთებში დამატებით გაიგზავნენ ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებმაც არ უნდა დაუშვან, რომ ლისინმანელ ჯარისკაცებში მოხდეს რაიმე მღელვარება. ამასთან თვითეულ ასეულშია თითო ამერიკელი ლეიტენანტი და სერჟანტი. მათი მეთვალყურეობით სცემენ ყველა სამხრეთკორეელ ჯარისკაცს, რომელიც თუნდაც ოდნავ სინელეს გამოიჩენს საშფუთრო მომზადების დროს, ანდა რომელიც ამეღავნებს „მორალურ სასოწარკვეთილებას“.

ლისინმანელი ოფიცრები ბაძავენ ამერიკელ ინსტრუქტორებს. ნაწილებში წესრიგისა და დისციპლინის დასამყარებლად სცემენ, საჭმელს აძლევენ ჯარისკაცებს და მომართავენ სხვა გესტაპოურ მეთოდებს.

ბირმის დემოკრატიული პარტიები მოითხოვენ დაიხუროს ამერიკის საელჩო რანგუნში

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, ბირმის დემოკრატიული პარტიები მოითხოვენ დაიხუროს ამერიკის საელჩო რანგუნში, რადგან იგი დახმარებას უწევს ჩანკაიშელთა ბანდებს ბირმაში.

ბირმის მუშათა და გლეხთა პარტიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ჩანკაიშელთა ბანდები ბირმაში „უეჭველად უთხრიან ძირს ბირმის სუვერენიტეტს, სჩადიან რა აგრესიის აქტებს ბირმის ტერიტორიიდან“.

პაკისტანის ხალხი იბრძვის შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკთან შეერთების წინააღმდეგ

კარაჩი, 10 თებერვალი. (საკდესი). იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ პაკისტანის მთავრობა აპირებს მიემხროს დაპროექტებულ „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითს ორგანიზაციას“ (შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკი), ლაჰორის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო საპროტესტო რეზოლუცია.

„შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაციის“ მიზნები, აღნიშნულია რეზოლუციაში, მიუხედავად მისი უწყინარი სახელწოდებისა, ყველასათვის კარგად ცნობილია. უცხოეთის პრესის ცნობები და აზრები ვიცე-ადმირალ რაიტისა, რომელმაც ამას წინათ ინახულა პაკისტანი, ნათლად მოწმობენ, რომ პაკისტანს ამ ორგანიზაციაში ითრევენ.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გააფართოონ კორეისა და სხვა კონფლიქტები და აპირებენ საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ აზიის ქვეყნების ხალხები, და შემდეგ ნათქვამია: ასეთ პირობებში „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითს ორგანიზაციასთან“ შეერთება და თანხმობა — ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა განკარგულებაში გადასცენ ადამიანთა და მატერიალური რესურსები და ნება მისცენ მათ თავიანთი სამხედრო ბაზები ააგონ პაკისტანის ტერიტორიაზე — წარმოადგენს არა მარტო არამეგობრულ აქტს მეზობელი ქვეყნების მიმართ, არამედ, უფრო მეტიც, პაკისტანს აქცევს მესამე მსოფლიო ომის პლაცდარმად...

მშვიდობის დაცვის კომიტეტმა მოუწოდა პაკისტანელ პატრიოტებს, მიუხედავად პოლიტიკური რწმენისა, შეიგნონ სერიოზული საფრთხე, რასაც შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკთან შეერთება წარმოადგენს, და გაერთიანდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რათა ჩაშალონ გეგმები ომის გამჩაღებლებისა, რომლებიც ისწრაფვიან ჩაითრიონ პაკისტანი ახალ მსოფლიო ომში. ამავე დროს მშვიდობის დაცვის კომიტეტმა პაკისტანის მთავრობას მიმართა მოწოდებით მხედველობაში მიიღოს ხალხის მისწრაფება და ინტერესები და გადასინჯოს თავისი პოლიტიკა.

საერთაშორისო საჭადრაკო ჯურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 9 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. რედულესკუ (რუმინეთი) თამაშს განუახლებლად დანებდა ტოლუშს (სსრ კავშირი), გროსმაისტერმა პეტროსიანმა (სსრ კავშირი) მოუგო ტროიანესკუს (რუმინეთი). სპასსკიმ (სსრ კავშირი) მოუგო შ. საბოს (რუმინეთი). ჩოკოლტიამ (რუმინეთი) მოუგო შაიტარს (ჩეხოსლოვაკია). ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ბარდას (ნორვეგია). მილევმა (ბულგარეთი) მოუგო ტროიანესკუს (რუმინეთი). პოლონელმა ოსტატმა სლიგამ მოუგო გოლომბეკს (ინგლისი). გოლომბეკმა მოუგო რეიხერს (რუმინეთი).

ბომბის აფეთქება ისრაელში სსრ კავშირის მისიის ფერიფერიაზე

ტელ-ავივი, 11 თებერვალი. (საკდესი). 9 თებერვალს ბოროტგანმზრახველებმა პოლიციის აშკარა წაყრუებით ჩაბღინეს ისრაელში საბჭოთა მისიის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტი. ამ დღეს 22 საათსა და 35 წუთზე სსრ კავშირის მისიის ტერიტორიაზე დამნაშავეებმა ააფეთქეს ბომბი, რის შედეგადაც დაიჭრნენ დესპანის მეუღლე კ. ვ. ერშოვა, მისიის თანამშრომლის მეუღლე ა. პ. სისოევა და მისიის თანამშრომელი ი. გ. გრიშინი. მისიის შენობის ნაწილი დაინგრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საზიზღარ დანაშაულს წინ უძღოდა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული თავაშვებული ცილისმწამებლური კამპანია ისრაელის ოფიციალურ პირთა მონაწილეობით, რომლებიც აშკარად აქეზებდნენ საბჭოთა კავშირისა და ისრაელში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებას.

გერმანიის მშვიდობისა და ერთიანობისათვის

ბერლინი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, მანჰაიმში გაიმართა მანჰაიმის რაიონის 25 ათასი მოქალაქის წარმომადგენელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე შეიქმნა გერმანიის მშვიდობის, ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კომიტეტი. არჩეული არიან აგრეთვე დელეგატები, რომლებმაც კონფერენციის მოთხოვნა უნდა გადასცენ ბუნდესტაგის დეპუტატებს — მანჰაიმის რაიონის წარმომადგენლებს. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ერთიან, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ გერმანიასთან მოლაპარაკებისა და საზავო ხელშეკრულების დადების გზით. კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ მანჰაიმის რაიონის ყველა მოქალაქეს დაირაზმონ სამარი მზადების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

დემოკრატიული პრესა აგრეთვე იუწყება, რომ რაინლანდ-პფალცის მხარის ყველა ნაწილის 400 წარმომადგენელი დაესწრო ქალაქ ლამბრეხტში გამართულ კრებას, რომელზეც გამოვიდნენ მშვიდობის დაცვის მსოფლიო კონგრესის მონაწილეები ნაუმანი და კრაფტი. მიღებულ რეზოლუციაში კრების მონაწილეები აცხადებენ, რომ ისინი მთელ ძალლონეს მოახმარენ გერმანიის გაერთიანებისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლას.

დანიის საზოგადოებრიობა უკმაყოფილოა მთავრობის საგარეო პოლიტიკით

კოპენჰაგენი, 10 თებერვალი. (საკდესი). ეურნალ „ფრიტ დანმარკის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია „დანიის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობი კომიტეტის“ მიმართვა დანიელი ამომრჩევლებისადმი. მიმართვა გამოქვეყნებულია რიკსდაგის (პარლამენტი) ამა წლის აპრილის არჩევნებთან დაკავშირებით. მიმართვაში აღნიშნულია დანიის მთავრობის პოზიციის შეცვლა დანიისათვის ისეთ სასეცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და უცხო სახელმწიფოებისათვის დანიის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მიცემა.

„1947 წელს, — ნათქვამია მიმართვაში, — რიკსდაგმა ერთხმად განაცხადა, რომ „დანია განსაკუთრებით დაინტერესებულია გერმანიის სრული განიარაღებით და გერმანიის მილიტარიზმის საბოლოო მოსპობით“. ახლა კი, ამ განცხადების საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ დანიის თანხმობით დადაწყვიტა განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია“.

კომიტეტი ეხება უცხო სახელმწიფოებისათვის ბაზების მიცემას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანიაში უცხოეთის ჯარების ყოფნა დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩააყენებს დანიას. დანიის ხელისუფალთ არ შეუძლიათ გადაჭრან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის დანიის მონაწილეობა ომში. „შეიძლება ომში ჩაგვითრიონ ავტომატურად, — ნათქვამია მიმართვაში, — თუ ამ ომში ჩაბმულ იქნა თუნდაც ერთი სახელმწიფო — ატლანტიკის კავშირის წევრი, დამოუკიდებლად იმისა, დედამიწის რომელ ნაწილში და რა პირობებში ატყდება ეს ომი“.

შემდეგ მიმართვაში აღნიშნულია: „როცა რიკსდაგის უმრავლესობამ ჩვენს ქვეყანას ატლანტიკის პაქტისადმი მიმხრობასთან დაკავშირებით ვალდებულებანი დაკისრა, დანიელ ამომრჩეველთ არ შეეძლოთ განეჭვრიტათ დანიისათვის ის გაძლიერებული რისკი, რომელიც გერმანიის რემილიტარიზაციის, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე ქვეყნების რაოდენობის გადიდების, უცხოელი ჯარების განლაგებისა და საერთო სარდლობის დაწესების შედეგი არის ან იქნება. ამას უნდა დაემატოს ისეთი ცალკე საკითხი, როგორიც არის ჩვენი თანხმობა დახმარება გავუწიოთ საფრანგეთს ინდო-ჩინეთის ომში... მხოლოდ ნეიტრალური პოზიციის დაკავებით და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის შესაქმნელად ყველა შესაძლებლობის გამოყენებით შეეძლოთ თავიდან ავიცილოთ ომი და სრული მოსპობა“.

დასასრულ კომიტეტი მოუწოდებს ამომრჩევლებს — მომავალ არჩევნებში დასახელონ ისეთი კანდიდატები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დანიის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და ხმას მისცემენ უცხო სახელმწიფოებისათვის ბაზების მიცემის წინააღმდეგ, დანიაში უცხოეთის ჯარების განლაგების წინააღმდეგ, ეგრეთწოდებული საერთო სარდლობისათვის დანიის შეიარაღებული ძალების დაქვემდებარების წინააღმდეგ.

დანიელი მუშები იღაშქრებენ მილიტარიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

კოპენჰაგენი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ იუწყება, გუშინ გაიმართა ქალაქ ოლბორგის მუშათა და უმუშევართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასმა კაცმა. დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის რატუშამდე, თან მიჰქონდათ ლოზუნგები და მოითხოვდნენ მთავრობის პოლიტიკის შეცვლას, ახალი ბინების მშენებლობას, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას. რატუშის წინ გამართულმა მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს შეიცვალოს მილიტარიზაციის ახლანდელი პოლიტიკა, რაც უმძიმეს ტვირთად აწევს მშრომელ მოსახლეობას.

ხალხის მასების ზეგავლენით

საფრანგეთის მინისტრის გადადგომა

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი იუწყება, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ყოფილი პეტენელი ანდრე ბუტემი, რომელიც ჰიტლერული ოკუპაციის დროს ფრანგი პატრიოტების დასჯაში მონაწილეობდა, იძულებული გახდა გადამდგარიყო.

როგორც უკვე გამოცხადებული იყო, ეროვნულმა კრებამ 340 ხმით 209-ის წინააღმდეგ აზრი გამოთქვა კომუნისტების დეპუტატის ჟან პრონტოს იმ შეკითხვის განხილვის სასარგებლოდ, თუ „რა ზომების მიღებას ფიქრობს მთავრობა იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს შეუფერებელ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მთავრობაში ბუტემის მონაწილეობით“. პრონტოს შეკითხვის განხილვა დანიშნული იყო 17 თებერვალს. იმის შიშით, რომ ბუტემის საქმეს შეუძლია გამოიწვიოს მთავრობის კრიზისი, მმართველი წრეები იძულებული გახდნენ ზეგავლენა მოახდინათ და აიძულებინათ ბუტემი „ნებაყოფლობით“ გადამდგარიყო 17 თებერვლამდე.

კომენტარს უკეთებს რა ამ მოვლენას, ანდრე სტილი გაზეთ „ლუმანიტეს“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ მთავრობას პეტენელი მინისტრი გადააყენებინა ფრანგმა ხალხმა, რომელმაც მხარი დაუჭირა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოქმედებას, პარტიისა, რომელმაც ამხილა ბუტემი და მოითხოვა გაედევნათ იგი მთავრობიდან.

ბურჟუაზიული გაზეთი „ფრან-ტირერი“ წერს: „მეიერის მთავრობას რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი არ გაეწირა, ეროვნული კრება 17 თებერვალს მთავრობას გასწირავდა“.

ინჟენერიის მარშალიზაციის შედეგები

რომი, 10 თებერვალი. (საკდესი). ცენტრალური სტატისტიკური ინსტიტუტი იუწყება, რომ იტალიის 1952 წლის სავაჭრო ბალანსი დაიხურა 581,6 მილიარდი ლირის დეფიციტით. დეფიციტი 1951 წლის სავაჭრო ბალანსის დეფიციტთან შედარებით გაიზარდა 78,9 პროცენტით.

1952 წლის განმავლობაში შეტანილ იქნა ფულადი გამოხატულებით 6,7 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1951 წელს, ხოლო გატანილ იქნა 16,1 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1951 წელს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირება იტალიაში

რომი, 10 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „კოლტივატორე“ იუწყება, რომ 1952 წელს მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო ღირებულებამ დაახლოებით 5 პროცენტით ნაკლები შეადგინა, ვიდრე 1951 წელს მოყვანილი პროდუქტების ღირებულებამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შემცირდა მცენარეული ზეთის წარმოება (40 პროცენტით), ღვინისა (15 პროცენტით), თამბაქოსი (20 პროცენტით).

სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა ტირაჟი ჩატარდა ქ. მოსკოვში 1953 წლის 30 იანვარს ქ. მოსკოვში.

მოგება ხვდა ოთხივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
001911	1—50	400	057709	1—50	400
001918	28*)	5.000	057868	11*)	5.000
002130	08*)	5.000	058071	05*)	5.000
002193	38*)	5.000	060047	37*)	10.000
002891	37*)	5.000	060450	41*)	10.000
002935	19*)	5.000	061521	1—50	400
003717	38*)	10.000	062296	30*)	5.000
004522	1—50	400	062585	28*)	5.000
004865	15*)	5.000	062769	03*)	5.000
006794	36*)	5.000	062843	34*)	10.000
007618	1—50	400	063721	37*)	5.000
008166	04*)	5.000	064065	1—50	1.000
009048	10*)	5.000	065182	03*)	5.000
010089	14*)	5.000	065249	15*)	5.000
010250	16*)	5.000	065872	43*)	5.000
010465	1—50	1.000	066078	1—50	1.000
010692	19*)	5.000	066099	1—50	1.000
012515	23*)	5.000	066242	1—50	400
013146	31*)	5.000	067497	44*)	5.000
013944	1—50	1.000	068373	1—50	400
015297	24*)	10.000	068675	25*)	10.000
015330	13*)	10.000	069358	23*)	5.000
015933	1—50	400	069464	27*)	5.000
017340	34*)	5.000	069874	1—50	400
018217	27*)	5.000	070103	50*)	10.000
018452	22*)	5.000	070689	29*)	5.000
018589	26*)	5.000	071574	1—50	400
018691	1—50	400	072009	38*)	5.000
019455	48*)	5.000	072065	01*)	5.000
020464	1—50	400	072910	37*)	5.000
020883	17*)	5.000	073314	15*)	5.000
021014	22*)	5.000	073980	1—50	400
021060	1—50	1.000	074221	33*)	5.000
021996	1—50	400	075099	13*)	5.000
022217	1—50	400	075415	1—50	400
022247	08*)	5.000	075891	04*)	5.000
023056	13*)	5.000	076107	48*)	5.000
023090	1—50	1.000	076973	1—50	400
025389	18*)	5.000	077286	1—50	400
026517	21*)	5.000	077444	29*)	5.000
026640	1—50	400	077899	21*)	5.000
026899	1—50	400	078511	1—50	400
027698	44*)	5.000	079916	1—50	400
028076	03*)	5.000	080478	1—50	400
030149	1—50	400	080972	1—50	400
030852	48*)	5.000	081620	24*)	5.000
032333	04*)	10.000	081985	45*)	5.000
033552	1—50	400	082201	1—50	400
033694	33*)	5.000	082249	18*)	5.000
033753	1—50	400	083190	03*)	5.000
034084	37*)	5.000	083754	36*)	5.000
035856	1—50	400	084188	01*)	10.000
036852	18*)	5.000	084196	1—50	400
038282	06*)	10.000	084772	1—50	400
038420	16*)	10.000	084905	43*)	10.000
038630	1—50	400	085345	27*)	5.000
039143	24*)	25.000	085951	22*)	25.000
040213	07*)	5.000	085954	44*)	10.000
040253	45*)	10.000	086194	1—50	400
040345	1—50	1.000	087355	1—50	400
043890	22*)	10.000	088079	04*)	5.000
043913	14*)	10.000	088418	1—50	1.000
045711	1—50	400	088982	23*)	5.000
045873	1—50	1.000	089294	16*)	10.000
047206	24*)	5.000	089951	12*)	5.000
048214	35*)	5.000	090479	28*)	10.000
048257	1—50	400	090758	1—50	1.000
049841	1—50	1.000	091168	24*)	5.000
049911	1—50	400	091590	25*)	10.000
050572	19*)	10.000	092425	37*)	5.000
050659	23*)	5.000	093155	1—50	400
051691	47*)	25.000	093297	18*)	5.000
052664	07*)	10.000	093603	25*)	10.000
052706	11*)	5.000	094475	1—50	400
052807	23*)	5.000	094998	42*)	10.000
052847	25*)	5.000	095203	05*)	5.000
053495	05*)	5.000	095431	01*)	25.000
054438	1—50	1.000	096129	40*)	5.000
055513	36*)	5.000	096543	1—50	400
055731	11*)	50.000	096550	1—50	400
055961	17*)	5.000	096616	1—50	1.000
056225	1—50	400	096679	40*)	10.000
056409	16*)	50.000	097923	48*)	5.000
056510	1—50	400	098768	1—50	400
056549	29*)	25.000	098817	49*)	5.000

* ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციებს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ქ. ე. ზასპარენკო.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ა. ჟიშკო.

რასისტული ტერორი ამერიკის შეერთებულ შტატებში